პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 246 (4756)

1972 წ. 14 დეკემბერი, ხუთშაბათი,

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან





სსრკ 50

## ზეიმი სპორტის სასახლის გუმბათის ქვეშ

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში მოწყობილი დიდი სპორტული ზეიმი, რომელშიც ჩვენი დედაქალაქის სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა.

სპორტული ზეიმი გახსნეს ქალაქის განათლების განყოფილების ბავშვთა ტანვარჯიშული სპორტსკოლის აღსაზრდელებმა. მათ ოსტატურად შეასრულეს სხვადასხვა მასობრივი ვარჯიში შემდეგ სარბიელზე გამოვიდნენ რესპუბლიკის უძლიერესი ტანმოვარჯიშეები, სსრ კავშირის ნაკრების წევრი რ. სიხარულიძე, სპორტის ოსტატები რ. ბერიკაშვილი, ი. მუზაშვილი, პ. შამუგია და სხვ.

მაყურებელს თავიანთი ოსტატობა უჩვენეს აკრობატებმა, სსრ კავშირის უძლიერესმა ოთხეულმა — თ. ლომთაძემ, ა. თედეევმა, ა. სლივკოვმა და ს. დელიბალტოვმა.

საინტერესო სანახაობა წარმოადგინეს 26 კომისრის რაიონის ბავშვთა სპორტსკოლის მხატვრული ტანვარჯიშის ჯგუფის წევრებმა, „ბურევესტნიკის" სპორტსმენებმა...

ზეიმი დამთავრდა დიდი სამამულო ომისა და სპორტის ვეტერანთა გამოსვლებით.

• • •

სურათებზე: თბილისის სპორტის სასახლეში გამართული სპორტული ზეიმის მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

---

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი სპორტსაზოგადოებათა და ფიზკულტურის რაიონული კომიტეტების მუშაკებისთვის, საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტებისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ტექნიკუმების, სასწავლებლების ფიზაღზრდის მასწავლებლებისთვის აწყობს თათბირ-სემინარს, რომელიც მშდ ახალ კომპლექსს ეძღვნება.

თათბირ-სემინარი გაიმართება 18-20 დეკემბერს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის კლუბში.

დასაწყისი 15 ს.

---

ინტერვიუ ტელეფონით

## ფინიში ძნელი იქნება

ვრნიაჩკა-ბანიაში, სადაც ევროპის ქვეყნების ჩემპიონ ქალთა თასის IV ტრადიციული გათამაშება მიმდინარეობს, ბრძოლის გადამწყვეტი ეტაპი დადგა. მსოფლიო ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი ესაუბრა ჩვენს კორესპონდენტს.

— გუშინ გადადებულ პარტიებს ვამთავრებდით, — თქვა ნონამ. — სათამაშო იყო 8 პარტია, რომელთა შედეგებსაც გარკვეულობა უნდა შეეტანა ლიდერთა განლაგებაში. ლიდერთა პარტიები ასე დამთავრდა: ვერეციმ (უნგრეთი) მოუგო მერლინის (საფრანგეთი), ალექსანდრიამ სძლია ივანკას (უნგრეთი) და დაუზავდა ტიმერს (ჰოლანდია), ივანკამ დაამარცხა პიხაილიჩი (იუგოსლავია), მე მოვუგე ტიმერსა და ერენსკას (პოლონეთი). კონარკოვსკა-სოკოლოვამ (იუგოსლავია) წააგო ერეტოვასთან (ჩეხოსლოვაკია) და მოუგო ვეტშტაინს (შვეიცარია).

ამრიგად, 8 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: ვერეცი, გაფრინდაშვილი — 6,5-6,5 ქულა, ალექსანდრია — 5,5, ივანკა — 5, პიხაილიჩი, ერეტოვა — 4,5-4,5, კონარკოვსკა-სოკოლოვა, პოლიქრონიადე (რუმინეთი) — 4-4, ტიმერი — 3, ერენსკა — 2,5, მერლინი — 1,5, ვეტშტაინი — 0,5.

დასკვნით სამ ტურში, რა თქმა უნდა, დიდ ინტერესს იწვევს ვერეცისთან ნანასა და ჩემი შეხვედრა. შედარებით „იოლი მეტოქეები" ჰყავს ივანკას. ფინიში ალბათ უცრემლოდ არ ჩაივლის.

13 დეკემბერი.

## ტურიშჩევა და ანდრიანოვი

ვინ არიან სსრ კავშირის საუკეთესო ტანმოვარჯიშეები 1972 წელს? ტანვარჯიშის საკავშირო ფედერაციის ამ გამოკითხვაში 60 სპორტულმა ჟურნალისტმა მიიღო მონაწილეობა.

ვაჟთა შორის პირველ ნომრად უყოყმანოდაა დასახელებული სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი, ვლადიმირელი სტუდენტი ნ. ანდრიანოვი. მას ჟურნალ „მოლოდოი კომუნისტის" პრიზი გადაეცემა.

საუკეთესო ტანმოვარჯიშე ქალის დასახელებაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" პრიზს მიიღებს ოლიმპიადის, მსოფლიოსა და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი, გროზნოელი სტუდენტი ლ. ტურიშჩევა.

მას სულ ოდნავ ჩამორჩა ნორჩი გროდნოელი ტანმოვარჯიშე, ოლიმპიური ჩემპიონი ო. კორბუტი.

ტანვარჯიში

## 19.45

◆ პალმა-დე-მალიორკა, 13 დეკემბერი. ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში კვლავინდებურად ლიდერობს კორჩნოი, რომელსაც 8,5 ქულა აქვს. XII ტურში მან ყაიმით დაამთავრა პარტია ბელონთან. პანომ მოუგო პოლუგაევსკის, ანდერსონმა — სმეიკალს, კალვომ — მედინას. ყაიმით დამთავრდა პარტიები: გეორგიუ — პომარი, ლიუბოევიჩი — ივკოვი, რობაჩი — ბილეკი. ავერბახ — ჰუგის პარტია გადაიდო. ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩებიან პანო და ანდერსონი.

## ტალი იერიშს განაგრძობს

„რიგელი ჯადოქარი", დიდოსტატი მ. ტალი წარმატებით თამაშობს ბაქოში, სსრ კავშირის მოჭადრაკე ვაჟთა მე-40 ჩემპიონატში. გუშინწინ მან, XVII ტურშიც გაიმარჯვა: სძლია დ. ბრონშტეინს (მოსკოვი). ახლა ტალს 11,5 ქულა და 1 გადადებული (მოსაგებ პოზიციაში) პარტია აქვს. საინტერესოა, რომ ბოლო ათ შეხვედრაში მან 8,5 ქულა მოაგროვა.

XVII ტურში ე. ვასიუკოვმაც (მოსკოვი) გამარჯვება იზეიმა (ვ. ბაგიროვს სძლია) და 10 ქულით და 1 გადადებული პარტიით ლიდერს კვალში მიჰყვება.

დამთავრდა კიდევ ორი პარტია: ი. რაშუვაევი (მოსკოვი) დაუზავდა ნ. რაშკოვსკის (კურგანი) და ვ. ჟიდკოვი (კიევი) — კ. გრიგორიანს (ერევანი). სხვა პარტიები გადაიდო.

თამაშის განუახლებლად დაზავდნენ წინა ტურების პარტიებში ვ. ზილბერშტეინი (ორსკი) ი. ბალაშოვთან (მოსკოვი), რაშკოვსკი კი რ. ხოლმოვთან (მოსკოვი).

ლიდერთა ჯგუფში არიან, აგრეთვე, მ. მუხინი (ალმა-ათა), გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) და გ. სავონი (ხარკოვი) — 9-9 ქულა და თითო გადადებული პარტია.

## სტუმრად მეგობრებთან

თბილისის უსინათლო ბავშვთა საშუალო სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელები ამას წინათ სტუმრად ეწვივნენ ბოლშევოს (მოსკოვის ოლქი) თანატოლებს. მეგობრებმა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიუძღვნეს ამხანაგური მატჩები ჭადრაკსა და შაშში.

მოჭადრაკეთა შეხვედრა ყაიმით (3:3) დამთავრდა, მოშაშეთა შეხვედრაში კი თბილისელებმა გაიმარჯვეს — 4:2. თავი ისახელეს მოჭადრაკე ნარგიზა დარბაიძემ და მოშაშე ციური ზარიძემ.

მ. რამიშვილი.

---

## რაიონებში სპორტი

### ✦ თბილისი

კონსერვატორიის მოჭადრაკეთა გუნდმა (ნ. ტურიაშვილი, ე. ბელქანია, ა. ნახაპეტიანი, ნანა მდინარაძე) მოიპოვა რესპუბლიკის სახალხო არტისტ პ. კობახიძის სახელობის თასი, რომლის გათამაშებაც ამას წინათ ხელოვნების მუშაკთა სახლში მოეწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მარჯანიშვილის სახელობის თეატრის, საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის, კონსერვატორიისა და სამხატვრო აკადემიის გუნდები.

ი. თორდია.

### ✦ ქუთაისი

გაიმართა მეორე ამხანაგური საჭადრაკო მატჩი ქუთაისის უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლასა (მწვრთნელი — ოსტატობის კანდიდატი ა. რაზოვსკი) და სამტრედიის ნაკრებს შორის. პირველი შეხვედრა სამტრედიაში ქუთაისელებმა მოიგეს (9:2), ამჯერად კი სამტრედიელებმა იმარჯვეს (6,5:2,5).

თ. რევაზიშვილი.

### ✦ თერჯოლა

ჩატარდა რაიონის საშუალო სკოლების გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. გაიმარჯვეს ქვედა სიმონეთის მოსწავლეებმა. II ადგილზე გავიდნენ ალისუბნელები, III — ეწერის სკოლის წარმომადგენლები. შეჯიბრება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

ა. ჩარექიშვილი,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

### ✦ წალენჯიხა

„კოლმეურნის" რაისაბჭოს პლენუმზე განიხილეს საკითხი — „სოფლის მეურნეობის მუშაკთა სპარტაკიადის შედეგები და მომავლის ამოცანები". როგორც მომხსენებელმა („კოლმეურნის" რაისაბჭოს თავმჯდომარე გ. გოგუა), ისე კამათის მონაწილეებმა ილაპარაკეს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში მოპოვებულ წარმატებებზე, მაგრამ მთავარი ყურადღება მაინც ნაკლოვანებებზე გაამახვილეს. პლენუმზე აღინიშნა, რომ რაიონში ჯერ კიდევ ბევრი ფიზკულტურული კოლექტივი ვერ მუშაობს ისე, როგორც საჭიროა.

ლ. სალია.

### ✦ ცხაკაია

რაიონის სპარტაკიადაში საბჭოთა მეურნეობების მუშაკები მონაწილეობდნენ. კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობეს გეჯეთის ჩაის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენებმა.

• • •

რაიონის სკოლებში დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა სამხედრო მომზადებას. გარდა ამისა, ხშირად ტარდება შეხვედრები სამოქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის ვეტერანებთან, ლაშქრობანი იმ ადგილებში, სადაც სამშობლოს იცავდნენ ქართველი მეომრები. ტარდება ლექცია-მოხსენებები სამხედრო-პატრიოტულ თემაზე.

ბ. ბუზუნავა.

რაიონებში სპორტი

# დიდებული სადღესასწაულო ნობათი

ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს თავისი არსებობის 50 წლის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოუპოვებია. ინსტიტუტის დროშაზე ახლა ორი ორდენი კიაფობს: პირველი — შრომის წითელი დროშის ორდენი — დიდი ხანია მიიღო, ახლახან კი ეს უმაღლესი სასწავლებელი ლენინის ორდენით დაჯილდოვდა.

ორივე ჯილდოს მიღებაში ინსტიტუტის სპორტსმენებსაც მიუძღვით დამსახურება. ამის დასტური თუნდაც ის გახლავთ, რომ წლეულს, სსრ კავშირის VI სტუდენტურ სპორტულ თამაშებში თბილისელმა პოლიტექნიკოსებმა კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობეს.

— ჩვენს ინსტიტუტს წინათაც გაუმარჯვნია ამგვარ შეჯიბრებაში, მაგრამ წლევანდელ წარმატებას გაცილებით მეტი ფასი აქვს, — გვითხრა ამ სასწავლებლის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგემ, წარსულში ცნობილმა კალათბურთელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა მ. კეკელიძემ. — თუ უწინ გამარჯვებული კოლექტივი ვლინდებოდა ცალკე უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა შორის, ცალკე — ფიზკულტურის ინსტიტუტებს შორის, ახლა საკავშირო შეჯიბრებაში მონაწილეობა ნებისმიერი სახის ინსტიტუტებს შეეძლოთ, ბუნებრივია, თუ ამის უფლებას რესპუბლიკურ ასპარეზობაში გამარჯვებით მოიპოვებდნენ. წლევანდელი შეჯიბრების მონაწილეთა შორის ფიზკულტურის ინსტიტუტების გამოჩენამ პირველობისთვის ბრძოლა უფრო ძნელი და შეუპოვარი გახადა. სხვა დროს მთავარი ფავორიტები მოსკოვის ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებელი და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი იყვნენ, ახლა კი მოსკოველები კომპლექსურ ჩათვლაში XIX ადგილს დასჯერდნენ. ჩვენი სპორტსმენების წლევანდელი გამარჯვება იმითაცაა აღსანიშნავი, რომ მათ აჯობეს ისეთ ძლიერ კოლექტივებს, როგორიც არიან მოსკოვის, ლენინგრადის, ალმა-ათისა და კიევის ფიზკულტურის ინსტიტუტების გუნდები. რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლებიდან საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლებმა საკავშირო სარბიელზე ასპარეზობის უფლება 19-დან 14 სახეობაში მოიპოვეს.

ზოგიერთ სახეობაში ჩვენი რესპუბლიკის სახელს იცავდნენ უნივერსიტეტისა (ქალთა და ვაჟთა სპორტული ტანვარჯიში, ვაჟთა ხელბურთი) და ფიზკულტურის ინსტიტუტის (კრივი, მხატვრული ტანვარჯიში) წარმომადგენლები.

კომპლექსურ ჩათვლაში პირველობისთვის ბრძოლა აპრილში დაიწყო და ახლახან დამთავრდა. რაც დრო გადიოდა, ასპარეზობა მით უფრო დაძაბული და შეუპოვარი ხდებოდა. მაგალითად, როცა 19-დან 17 სახეობაში შეჯიბრებები უკვე დამთავრებული იყო, მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტს 208 ქულა ჰქონდა, ლენინგრადისას — 165, ალმა-ათისას — 157, ხოლო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის კოლექტივს — 173. დაიწყო უკანასკნელი ეტაპი — შეჯიბრება თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, რომელიც მინსკში ნოემბრის დამლევსა და დეკემბრის დამდეგს გაიმართა. სწორედ ამ ეტაპზე გადაწყდა ყოველივე. ჩვენი ინსტიტუტის წარმომადგენლებმა როგორც თავისუფალ (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. როსტიაშვილი), ისე კლასიკურ ჭიდაობაში (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ო. ეგაძე) გუნდური I ადგილები მოიხვეჭეს. თითოეულმა გუნდმა კოლექტივს 32 ქულა მოუტანა. საბოლოოდ ჩვენებმა 237 ქულა დააგროვეს და კომპლექსურ ჩათვლაში პირველობა უკვე უზრუნველყოფილი ჰქონდათ.

მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა კლასიკურ ჭიდაობაში IV ადგილი დაიკავეს (18 ქულა), ხოლო თავისუფალ ჭიდაობაში — XI (4 ქულა). ამის გამო ისინი კომპლექსურ ჩათვლაში საბოლოოდ II ადგილზე დარჩნენ (230 ქულა). აი, ასე მძიმე იყო პირველობისთვის ბრძოლა. არ შეიძლება არ აღინიშნოს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორატის, პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების, აგრეთვე, „ბურევესტნიკის" რესპუბლიკური საბჭოს დიდი დახმარება, რაც მათ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტსმენებს შეჯიბრებისთვის მზადებისა და თვით ასპარეზობაში მონაწილეობის დროს გაუწიეს.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში გუნდური პირველობის მოპოვებამ გადაწყვიტა საერთო გამარჯვების ბედი. აქვე გვინდა გაგაცნოთ ჩემპიონები და პრიზიორები ამ სახეობებში: თავისუფალი ჭიდაობა. ჩემპიონები — ნ. მოდებაძე, რ. მარსაგიშვილი, დ. ყვარელაშვილი და თ. მიქელაძე; ვერცხლის პრიზიორები — ი. მაღალაშვილი და ზ. ნიკურაძე; ბრინჯაოს პრიზიორი — ა. ხოხაშვილი. კლასიკური ჭიდაობა. ჩემპიონები — შ. მორჩილაძე, ა. მელაძე და ა. ბაბიაშვილი; ვერცხლის პრიზიორი — მ. ჩიბურდანიძე; ბრინჯაოს პრიზიორები — თ. ლეჟავა და დ. ბაქრაძე.

დებულებით, ჩასათვლელ ქულებს იძლეოდა გუნდი, რომელიც საბოლოოდ 12 საუკეთესო კოლექტივს შორის მოხვდებოდა. მოჭიდავეთა გარდა, საუკეთესოთა ჯგუფში მოხვდნენ სხვა სახეობათა წარმომადგენლებიც. უფრო მეტიც, ისინი თამაშების ჩემპიონებიც გახდნენ და საპრიზო ადგილებზეც გავიდნენ. კალათბურთელმა ვაჟებმა (მწვრთნელი მ. კეკელიძე) ჩემპიონობა არავის დაუთმეს, ხოლო ქალებმა (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ძეკონსკი) II ადგილი დაიკავეს. კალათბურთელი ვაჟებიდან განსაკუთრებით ისახელეს თავი ლ. ჩხიკვაძემ, გ. ბიჭიაშვილმა, ი. პულავსკიმ, ვ. ალთაბაევმა, ქ. მაისურაძემ, ი. ძიძიგურმა, თ. მაგრაქველიძემ, გ. ჯუღელმა; ქალებიდან — მ. სურგულაძემ, ვ. მჭედლიძემ, ც. ყიფიანმა, ნ. სტრუჟკოვამ...

III ადგილი დაიკავეს ხელბურთელმა ქალებმა (მწვრთნელი გ. მაჭავარიანი). ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით მოთამაშეებს ე. მერაბიშვილს, ნ. ჭოჭუას, დ. გეფერიძეს, მ. კუპრეიშვილს, ე. მაისურაძეს, ა. ბელოუსოვას, ჯ. კასიანს...

II ადგილები დაიკავეს მოფარიკავეთა (მწვრთნელი ს. აჯიმამუდოვი) და ტყვიის მსროლელთა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი პ. ლეკვეიშვილი) გუნდებმა. დაშნით მოფარიკავეებმა (ი. სიხარულიძე, ი. ვახროვი და თ. მანაგაძე) გუნდური პირველობა მოიპოვეს. პირად შეჯიბრებაში ქალთა შორის II ადგილი დაიკავა დ. ბუხრაშვილმა. თავი გამოიჩინეს, აგრეთვე, მოფარიკავეებმა თ. ესართიამ, ა. აფციაურმა, ც. თანანაშვილმა, დ. გოგნიაშვილმა, ტ. ნოზაძემ... ტყვიის მსროლელთა გუნდის წარმატებაში წვლილი მიუძღვით ვ. სერინიკოვს, ს. ფარულავას, მ. ჟამურაშვილს, ა. ხაჩიანს, გ. გალოგრეს, ა. დიღმელაშვილს, ე. ცქიტიშვილს...

V ადგილები დაიკავეს ფრენბურთელმა ქალებმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ს. ტარახჩიანი) და ვაჟებმა (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი შ. მარგიშვილი).

ჩასათვლელი ქულები მოიპოვეს, აგრეთვე, ძალოსნებმა (მწვრთნელი ო. ბედოშვილი), რომლებმაც გუნდურ შეჯიბრებაში VII ადგილი დაიკავეს, წარმატებით გამოვიდნენ ფიზაღზრდის კათედრის მასწავლებლებიც: ი. კკაურიძემ სპორტის ოსტატის ნორმატივი შეასრულა, ხოლო ა. დავთიანმა — ოსტატობის კანდიდატისა.

VII ადგილზე გავიდნენ მოჭადრაკეებიც (მწვრთნელი თამაზ გიორგაძე), თუმცა მეტი შეეძლოთ. ინსტიტუტს, მართალია, მოკრძალებული შედეგებით, მაგრამ მაინც ჩასათვლელი ქულები მისცეს ტრეკზე ველომრბოლელებმა (მწვრთნელი ი. გოცირიძე) — IX ადგილი და ნიჩბოსნებმა (მწვრთნელი ბ. ჩხეიძე) — XII.

ჩათვლის გარეშე დარჩნენ მძლეოსნები (მწვრთნელი ვ. შმაკოვი) — XIV ადგილი, მოცურავეები (ა. გეგელია) — XVII, გზატკეცილზე ველომრბოლელები (ი. გოცირიძე) — XVIII.

როგორც ხედავთ, საქართველოს პოლიტექნიკოსებს წარმატებებთან ერთად ნაკლიც ბევრი აქვთ. როგორც მ. კეკელიძე ამბობს, დღეს ინსტიტუტის ფიზკულტურელთა და სპორტსმენთა მთავარი ამოცანა სწორედ ისაა, რომ ნაკლი აღმოფხვრან და გააუმჯობესონ მუშაობა ყველა რგოლში.

სტუდენტთა VI საკავშირო სპორტული თამაშები სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნებოდა. ამ დიდ ასპარეზობაში გამარჯვებით საქართველოს პოლიტექნიკოსებმა მართლაც დიდებული სადღესასწაულო ნობათი უძღვნეს რესპუბლიკას.

**ჯ. ენუქიძე.**

## საქართველოს პროფსაბჭოში

# ჯერ ვერ მოუცლიათ

# „სინათლეში" მუშაობა არ ჩანს

# დავაფასოთ საწარმოო ტანვარჯიში!

საწარმოო ტანვარჯიშმა, როგორც შრომისნაყოფიერების ზრდისა და მშრომელთა გაჯანსაღების საუკეთესო საშუალებამ, საქართველოს საწარმოებში, დაწესებულებებში, მშენებლობებზე სათანადო განვითარება ჰპოვა.

ამჟამად საწარმოო ტანვარჯიში დანერგილია საქართველოს 2418 საწარმოში, დაწესებულებაში, მშენებლობაზე და მასში 264665 კაცია ჩაბმული. განსაკუთრებით პოპულარული გახდა იგი იმ საწარმო-დაწესებულებებში, რომელთა დირექციებს, პარტიულ, პროფკავშირულ, კომკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებსაც კარგად აქვთ შეგნებული ამ ღონისძიების როლი, ზრუნავენ მისი დანერგვისთვის და ხშირად მუშა-მოსამსახურეებს პირად მაგალითს აძლევენ.

მთელ რიგ ორგანიზაციებში საწარმოო ტანვარჯიშის სათანადო დონეზე დაყენებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ მშრომლები თვითონ დარწმუნდნენ მის მნიშვნელობაში, როცა სისტემატური ვარჯიშის შემდეგ თავი გაცილებით მხნედ იგრძნეს, შრომისნაყოფიერება გაზარდეს და, მაშასადამე, შემოსავალმაც იმატა.

მაგრამ დასამალი როდია, რომ რესპუბლიკის ჯერ კიდევ ბევრ ქარხანაში, ფაბრიკაში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობასა თუ საბჭოთა მეურნეობაში საწარმოო ტანვარჯიშისთვის ჯერაც ვერ მოუცლიათ, დირექციებს არ ესმით მისი როლი და ფიზკულტურის კოლექტივების ხელმძღვანელებსაც ხელს უშლიან.

საქართველოს პროფსაბჭოს ბრიგადამ სპეციალურად შეისწავლა და პრეზიდიუმის მსჯელობის საგნად აქცია რესპუბლიკაში საწარმოო ტანვარჯიშის მდგომარეობა.

პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ, რესპუბლიკის საწარმო-დაწესებულებებში საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვაში მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ამ საქმეში ჯერ კიდევ სერიოზული ხარვეზები გვხვდება. პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოებმა დროულად არ დასახეს პრაქტიკული ღონისძიებანი საწარმოო ტანვარჯიშში მუშა-მოსამსახურეთა რაც შეიძლება ფართოდ ჩაბმის თაობაზე, შემდგომი პროფკავშირული ორგანიზაციების 1971 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილების ცხოვრებაში გატარებისთვის.

წლეულს ექვსი თვის მუშაობის შედეგების შემოწმებისას გამოირკვა, რომ „ლოკომოტივის", „ბურევესტნიკისა" და „ვოდნიკის" ორგანიზაციებში საწარმოო ტანვარჯიშში მომეცადინეთა რაოდენობა შემცირდა. მიზეზი ისაა, რომ ზოგჯერ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. მაგალითად, თბილისის მაკარონის ფაბრიკის (დირექტორი ვ. ნიჟარაძე, საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე ლ. მერაბიშვილი) საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტს ლ. ვასილევიჩს მემანქანეობა დაავალეს, ქარხანა „ელექტრომავლის" მეთოდისტი გ. გვანცელაძე საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს, რის გამოც მან საწარმოო ტანვარჯიშის ჩატარებას თავი დაანება, ქარხნის დირექტორი გ. კახიანი კი ამ მდგომარეობას სათანადო ყურადღებას არ აქცევს.

პრეზიდიუმმა აღნიშნა, აგრეთვე, რომ საწარმოოო ტანვარჯიში არ ტარდება საიუველირო ფაბრიკაში (დირექტორი ბ. გოგოლაძე, პროფორგანიზაციის თავმჯდომარე ც. ეთერეოლაძე), მე-18 სამშენებლო ტრესტში (ვ. ნარიმანიძე, ვ. ყიფიანი), ანალიტური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროში (გ. სიმონიანი, ვ. კუჭავა), წინდების ფაბრიკაში (ლ. ელისაშვილი, თ. გურგენიძე), სატვირთო ავტოსატრანსპორტო კონტორაში (ი. კვინიკაძე, ი. არეშოვი).

მძიმე მდგომარეობაა თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოში (მ. ჩიკვაიძე, თ. გორგაძე). აქ საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტის ოთხი საშტატო ერთეული აქვთ, მუშაობა კი ჩაშლილია. სპორტკლუბ „სინათლის" მესვეურთ ეს არ ეპატიებათ.

საწარმოო ტანვარჯიში სათანადო სიმაღლეზე არ დგას აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, სამტრედიის, გორის, ბორჯომის საწარმოებში. „ბურევესტნიკის", „განთიადის", „ლოკომოტივის", „სპარტაკის", „ვოდნიკის" საბჭოები არ ზრუნავენ ამ საკითხის მოგვარებისთვის. საწარმოო ტანვარჯიშს სათანადო ადგილი არ ეთმობა საწარმოების კოლექტიურ ხელშეკრულებებში. საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტების სხდომებზე, საამქროთა კრებებზე, ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოების პრეზიდიუმის სხდომებზე საწარმოო ტანვარჯიშის მდგომარეობის საკითხებზე ათასში ერთხელაც არ მსჯელობენ.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მდგომარეობის გამოსასწორებლად მიიღო დადგენილება, რომელიც საქართველოს პროფკავშირთა საოლქო, დარგობრივ, რესპუბლიკურ, საქალაქო კომიტეტებს, „განთიადის" ცენტრალურ საბჭოს, სპორტსაზოგადოებათა რესპუბლიკურ საბჭოებს, საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივ კომიტეტებს ავალებს სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად იზრუნონ საწარმოო ტანვარჯიშის დანერგვაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისთვის. ამ მიზნით მათ საამქროებში, უბნებში, განყოფილებებში უნდა შექმნან სათანადო ჰიგიენური პირობები, რაც მეთოდისტებს ჩამზიდი ტანვარჯიშისა და ფიზკულტშესვენების ჩატარების საშუალებას მისცემს, მუსიკის თანხლებით ვარჯიშების გადასაცემად მოაწყონ საწარმოთა რადიოფიცირება; უზრუნველყონ მომეცადინეთა და ნაგებობის სისტემატური სამედიცინო კონტროლი და სანიტარული შემოწმება; იზრუნონ საზოგადოებრივი ინსტრუქტორების კვალიფიკაციის ამაღლებისთვის; მშრომელებსა და მოსწავლეებს განუმარტონ ფიზკულტურის დიდი მნიშვნელობა.

პრეზიდიუმმა პროფკავშირულ ორგანიზაციებსა და სპორტსაზოგადოებათა საბჭოებს დაავალა სამეურნეო ორგანიზაციებთან ერთად მეტი დახმარება გაუწიონ საწარმოო ტანვარჯიშის ინსტრუქტორ-მეთოდისტებს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის სათანადოდ წარმართვაში, არ დაუშვან მეთოდისტების არადანიშნულებისამებრ გამოყენება, ამ თანამდებობაზე მიიღონ მხოლოდ ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტები.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ჩაწერილია ისიც, რომ რესპუბლიკის პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ საწარმოო ტანვარჯიშის პროპაგანდას.

# ქართული ჭიდაობის სარბიელზე

„სპარტაკის" სპორტულ დარბაზში დამთავრდა აფხაზეთის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა III სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.



ტურნირში მონაწილეობდნენ „განთიადის", „დინამოს", „კოლმეურნის", „სპარტაკის", საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ნაკრები გუნდები.

წონითი კატეგორიების მიხედვით აფხაზეთის ჩემპიონები გახდნენ: დ. ქაშიბაძე („განთიადი"), ა. ბელქანია („კოლმეურნე"), რ. მაისურაძე (პედინსტიტუტი), გ. მარხვაშვილი (სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი), კ. ონიანი (პედინსტიტუტი), გ. გიორგიძე („დინამო"), რ. ჩოფლიანი („კოლმეურნე"), რ. ხუტაბა (პედინსტიტუტი).

საერთო გუნდური გამარჯვება და აფხაზეთის ჩემპიონობა „კოლმეურნის" ნაკრებს დარჩა. II ადგილზე გავიდა პედინსტიტუტის კოლექტივი, III — „დინამოს" მოჭიდავეთა გუნდი.

**ბ. იაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

სოხუმი.

• • •

**სურათზე:** მსუბუქი წონის მოჭიდავე რ. მაისურაძე (მარჯვნივ) ილეთს უტარებს მეტოქეს.

ავტორის ფოტო.

## დედაქალაქის ჩემპიონატები

**ძალოსნებმა** საზოგადოებებს შორის თბილისის გუნდური პირველობა ვ. ი. ლენინის სახელობის დარბაზში გამართეს. განთიადელებმა (მწვრთნელი — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შ. წერეთელი) ყველაზე უკეთ იასპარეზეს და პირველობაც მათ დარჩათ. II ადგილი წილად ხვდა „ბურევესტნიკს", III — „ლოკომოტივს", IV — „სპარტაკს".

**თბილისელმა** ჩოგბურთელებმა გაითამაშეს ზამთრის პირადი პირველობა, რომელიც სპორტნაგებობათა სამმართველოს კორტებზე გაიმართა. ვაჟთა ერთეულებში ყველას აჯობა ვ. პერეგუდოვმა. II ადგილზე გავიდა პ. აბაშკინი, III — ლ. მძინარიშვილი, IV — გ. აბრამიშვილი. ქალთა ერთეულების უძლიერესი ოთხეული: 1. ო. პაპაიანი, 2. მ. ელერდაშვილი, 3. მ. მარუაშვილი, 4. ხ. კეკელია. დასახელებული ჩოგბურთელები მონაწილეობას მიიღებენ ზამთრის საკავშირო ტურნირში, რომელიც ბაქოში 1973 წლის დამდეგს გაიმართება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები სოციალისტური ქვეყნებიდან

# ორი პირობა გამარჯვებისთვის

არმიელთა კლუბ „დუკლას" მწვრთნელს ო. ხასაკს (იგი ქვეყნის ნაკრებსაც წვრთნის) ჰკითხეს, რაშია ჩეხოსლოვაკიის მოტომრბოლელთა წარმატების საიდუმლო. ამაზე ხასაკმა უპასუხა:

— ყველა ორთაბრძოლაში გამარჯვებისთვის აუცილებელია ორი მთავარი პირობა: კარგი მრბოლელი და კარგი მოტოციკლი. ჩვენ ახლა არც ერთი გვაკლია და არც მეორე.

ჩეხოსლოვაკიის მოტომრბოლელებმა სპორტული სეზონი შესანიშნავი შედეგებით დაამთავრეს. წარმატებით გამოვიდნენ ევროპის ჩემპიონატში, ბრწყინვალედ გაიმარჯვეს ექვსდღიან მოტორბოლაში, სადაც ამ ქვეყნის ნაკრებმა მოიპოვა ორი მთავარი პრიზი — „მსოფლიო ტროფეი" და „ვერცხლის ლარნაკი".

ნაკრების ბირთვს შეადგენენ კლუბების „დუკლას", „რუდა გვეზდას" და „სვაზარმის" მრბოლელები. მაგრამ ნაკრების წარმატებაში მთავარი დამსახურება მაინც არმიელთა კლუბ „დუკლას" სპორტსმენებს მიუძღვით, რომელთაც ხასაკი წვრთნის.

მაშ ასე — ორი პირობა გამარჯვებისთვის: ადამიანი და მანქანა.

„დუკლას" სპორტსმენები ზ. ჩეშპივა, ი. ბრჟიზა, ფ. მრაზეკი, ი. ცისარჟი, ი. ფოიტიკი ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში გამოდიოდნენ ექვსდღიანი მოტორბოლის სარბიელზე. ისინი კარგად არიან ცნობილი სპორტულ სამყაროში სიმამაცითა და ოსტატობით.

— ჩვენი მოტომრბოლელები, — განაგრძობს ხასაკი, — მთელი წლის მანძილზე ვარჯიშობენ. იანვრიდან ისინი ათლეტურ მზადებას დაიწყებენ: რბენა, საშუალოდ 30 კმ დღეში, თხილამურები, საგზაო მოტოციკლით სიარული. ცოტა უჩვეულო მეცადინეობაა შეშის ჩეხვა, მაგრამ ეს ძალიან კარგი ვარჯიშია ხელებისთვის.

შემდეგ იწყება ახალი საწვრთნელი ციკლი. კვირაში ორ დღეს — ფიზიკური მზადება, კიდევ ერთ დღეს — ცურვა და ტექნიკური მეცადინეობა.

— სარბოლო მანქანით როდისღა იწყებთ ვარჯიშს?

— მარტში. დღეში 300 კილომეტრს გავდივართ. ასე ვემზადებით ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც, ჩვეულებრივ, აპრილში ტარდება. მერე შეჯიბრება უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე საწვრთნელი მეცადინეობა. ასე იქნება „ექვსდღიანამდე", — ამბობს ხასაკი.

ახლა რამდენიმე სიტყვა მეორე პირობაზე — მანქანებზე.

— პრაღის სამოტოციკლო ქარხანა „იავას" ექსპერიმენტული საამქრო საუცხოო მანქანებს უშვებს, — ამბობს ხასაკი. — ამასთან, ყველა ჩვენი მრბოლელი შესანიშნავი კონსტრუქტორია. ყოველ ახალ მოდელზე ისინი ათობით დეტალს აუმჯობესებენ.

მართლაც, ჩეხოსლოვაკიის 175-დან 500 კბ სმ მოცულობის ძრავიანი მოტოციკლები საუკეთესოა მსოფლიოში. ამ მანქანებს არც საბჭოთა სპორტსმენები შეურცხვენიათ, რომლებიც ბოლო ექვსდღიან მოტორბოლაში „იავებით" გამოდიოდნენ და კარგ შედეგებსაც მიაღწიეს.

მომავალი სეზონის გეგმებზე ხასაკი მწვრთნელისთვის ჩვეული თავშეკავებით ლაპარაკობს:

— ძლიერი მეტოქეები გვყავს — გდრ-ის, იტალიის, გფრ-ისა და, რასაკვირველია, სსრ კავშირის სპორტსმენები. გაისად ექვსდღიანი მოტორბოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში მოეწყობა. მასპინძლების გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში, მაგრამ ჩვენი სპორტსმენები 25-28 წლისანი არიან, ეს კი საუკეთესო ასაკია მოტომრბოლელისთვის. ასე რომ, დიდი იმედი გვაქვს ჩვენი ბიჭებისა და ჩვენი მანქანებისა.

ა. კონდრაშოვი.
(საკდესის კორ.).

პრაღა.

# რა ხელმა ააგო!

## ზამთარიც ფორმაში შედის

## წყალი არ არის, წყალი არ არის!..

## „ნიაგარის ჩანჩქერის" გუგუნი

დარბაზში შესასვლელმა ერთი ჩვენში პოპულარული ზღაპარი გამახსენა: მარჯვნივ წახვალ — ძალოსანთა დარბაზში აღმოჩნდები, მარცხნივ — მოფარიკავეთა სამფლობელოში, პირდაპირ — ექიმის კაბინეტია. ჩვეულებრივ დარბაზის ბატონ-პატრონები ამ სამი გზიდან რომელიმეს ირჩევენ. მე კი დღეს სამივე მიმართულებით წავალ. ამჯერად საქმეს ასე სჭირდება. ჯერ ძალოსანთა საწვრთნელ დარბაზს ვესტუმროთ. პირველად მისული კაცი გაჭირვებით თუ გაიგნებს გზას. ცუდად ნუ გაგვიგებთ, სტუმარს არავითარი საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ დარბაზში შესვლამდე ჯერ გასახდელი უნდა გაიაროს. შენობის შიდა არქიტექტურაში ჩაუხედავი კაციც კი გაიკვირვებს: ამ დალოცვილებმა დარბაზის დაპროექტების დროს ეს „პატარა" დეტალი როგორ ვერ გაითვალისწინეს. რა ვუყოთ, ადამიანი ზოგჯერ „უნებლიე" შეცდომისგან არ არის დაზღვეული, მაგრამ მომსვლელ-წამსვლელისთვის სწორედ ვერაფერი ხახიამოვნოა საშხაპედან გამოსული (საშხაპე აქ ინერციით ვახსენეთ, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ) დედიშობილა სპორტსმენების ცქერა.

რუბიკონი გადალახულია — სავარჯიშო დარბაზში ვარ. ფანტაზიას მოკლებული კაცი ზამთრის ამ ცივ დღეებში სავარჯიშო დარბაზს ყინულეთს დაარქმევდა. მართალი გითხრათ, თავიდან გამაკვირვა დარბაზში პალტომოხურული მწვრთნელების დანახვამ. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გაუფრთხილებლობა ვინანე: კოსტიუმში გამოწყობილი კანკალმა ამიტანა. მერე უკვე პალტო ჩავიცვი და ისე შემოვიარე მთელი შენობა.

აქ სავსებით უგულებელყოფილია ადამიანის ისეთი საჭირო და სასარგებლო გამოგონება, როგორიც ცენტრალური გათბობაა. ეტყობა, დარბაზის მშენებლებს, გარდა იმისა, რომ სპორტი ჰყვარებიათ, კარგადაც სცოდნიათ მისი სპეციფიკა. მშენებლობის დროს, კერძოდ, ცენტრალური გათბობის მოწყობისას, ეს ცოდნა მათ მაქსიმალურად გამოუყენებიათ. აი, დაახლოებით როგორ წარმოგვიდგება მათი ჩანაფიქრი: სპორტსმენებიო, ფიქრობდნენ ალბათ მშენებლები, დიდ ოფლის ღვრაში არიან. ვარჯიშობენ — ოფლს ღვრიან, ასპარეზობენ — ოფლს ღვრიან. თბილ შენობაში ხომ ორმაგად გაოფლიანდებიან და შეიძლება გაცივდნენ კიდეც.

ოღონდ მშენებლებს ზომიერება ვერ დაუცავთ: მათი წყალობით დარბაზში ისეთი სიცივეა, წვეთი ოფლი სანატრელი გაგიხდებათ. როგორ არ გაგახსენოს ყინვასთან ძალოსნებისა და მათი მწვრთნელების „სამკვდრო-სასიცოცხლო" ჭიდილმა ბავშვობაში ნასწავლი ლექსი „ყინვა და მოწაფე".

დარბაზში კი ცივა. დარბაზს ვერც ჩვენი ირონია გაათბობს. სიცივე პირდაპირ ძვალსა და რბილში ატანს. სპორტსმენები კი ვარჯიშობენ. ისინი ვარჯიშობენ რეკორდებისთვის, რესპუბლიკის სპორტული ღირსების დასაცავად, ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. ამ დარბაზში მოდიან გამოცდილი ძალოსნებიც და ახალგაზრდა ნიჭიერი სპორტსმენებიც — ჩვენი ძალოსნობის დღევანდელი და ხვალინდელი დღე. აქ ვარჯიშობს რესპუბლიკის ნაკრები, აქ ვარჯიშობს მსოფლიო რეკორდსმენი, ევროპის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი დიტო შანიძე...

დარბაზში კი ცივა და მალე ალბათ კიდევ უფრო ეცივება იმიტომ, რომ ზამთარიც ნავარჯიშევი სპორტსმენივით ფორმაში შედის. არა, მართლაც დიდი გაძლება ჰქონიათ ჩვენს ძალოსნებს...

„დაილოცე, ცივო მთის წყარო, რომელი ღვინო შეგედრება?!". ყინულივით ცივი წყლის ფასი მართლაც ზოგჯერ არაფერია ამ ქვეყანაზე, მაგრამ ვიმეორებ, მხოლოდ ზოგჯერ და არა ყოველთვის... განსაკუთრებით მაშინ, როცა ყინულეთიდან გამოსული შხაპს მიაშურებ, ონკანის სახელურს გადასწევ და ნანატრი თბილი წყლის ნაცვლად მთის წყაროსავით ცივი რამდენიმე წვეთი გადმოვარდება. თბილი წყალი? ინებეთ, რამდენიც გნებავთ, ოღონდ დილის საათებში, როცა დარბაზში არავინაა. ხანდახან, მშენებლებისა არ იყოს, საშხაპე მილსაც „შეეშლება" და მოულოდნელად, ყველას გასახარად, თბილი წყალი იხუვლებს. აბა, მაშინ უნდა ნახოთ ძალოსანთა ჟრიამული! მაგრამ ეს შეცდომა მსწრაფლ „სწორდება" და სპორტსმენები გასაპნული რჩებიან: წყალი არ არის, წყალი არ არის!..

ახლა არც ძალოსანთა მეზობლებს — მოფარიკავეებს დავწყვიტოთ გული. მარცხნივ გავუხვიე და საკმაოდ მოზრდილ დარბაზში აღმოვჩნდი. საღამო ხანი იყო. მოფარიკავეებს ვარჯიში დაემთავრებინათ და თბილი წყლის მოლოდინში იყვნენ. ერთად ვუსმენდით „ნიაგარის ჩანჩქერის" გამაყრუებელ გუგუნს. სახტად დავრჩი: ათასნაირი განათება და ილუმინაცია მინახავს, მაგრამ აქაური განათების ყურისწამღებ გუგუნთან შედარებით მათ ფუტკრის ბზუილი შეიძლება ვუწოდოთ. კიდევ კარგი, დარბაზი მხოლოდ სანახევროდ გაენათებინათ.

დარბაზში თბილა. აქ არ გაიყინებით, თუმცა ოფლიც ხვითქად არ გადმოგსკდებათ შუბლზე. მოფარიკავეთა დარბაზს, ეტყობა, შემთხვევით არ უწოდებენ ამ შენობის „ბინადრები" გოლფსტრიმის დინებას. ჰო მართლა, სულ დამავიწყდა მოფარიკავეები. ისინი საშხაპესთან დავტოვე თბილი წყლის მოლოდინში. დგანან და ელიან, უსაზღვროა მათი მოლოდინი!

დავემშვიდობე სევდიან მუშკეტერებს და ექიმის კაბინეტის კარი შევაღე. ექიმი ვაჟკაცურად ინაწილებს სპორტსმენთა ტანჯვა-გასაჭირს. ამ პაწაწკინტელა ოთახში, სადაც, როგორც იტყვიან, თაგვი კუდსაც ვერ მოიქნევს, ყინულის პატარა სამეფოა. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს თოვლივით თეთრი ხალათი, რომელზეც ექიმს სქელი ქურქი ნაბადივით წამოუსხამს. მასპინძელი უჩივის იმას, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი. სასმელი წყალი რა არის, ისიც საოცნებო გაგვიხდაო, — აღშფოთებით ამბობს ექიმი.

გარეთ გამოვდივარ. ეს შენობა ბევრჯერ მინახავს, მაგრამ ახლა უცხოსავით გულდაგულ ვათვალიერებ. მე მახსოვს, როგორ შენდებოდა იგი. მართალია, მშენებლობა თავის დროზე ძალიან გაჭიანურდა, მაგრამ გვიან გამომცხვარი კვერიც გემრიელია. ერთი სიტყვით, ვაკეში, ფიზკულტურის ინსტიტუტის მახლობლად წამოჭიმული ეს სპორტული ნაგებობა ისეთი იყო, იმის შემხედვარე მოყვარეს გული გაუნათდებოდა, მტერს თვალი დაუდგებოდა. გაიხარეს ძალოსნებმა და მოფარიკავეებმა, საზეიმოდ აღნიშნეს ახალსახლობა, გაიმართა შეჯიბრებები, კმაყოფილნი იყვნენ სპორტსმენები. მერე კი დაიწყო: დასკდა კედლები, იატაკმა ალაგ-ალაგ ჩაიწია, მოიშალა გათბობისა და განათების სისტემა... ახალთახალი შენობა სულ ერთ წელიწადში შესაკეთებელი გახდა. შეაკეთეს, გაასწორეს და... ისევ ცივა, წყალი არ მოდის, გამაყრუებლად გუგუნებს მოფარიკავეთა დარბაზში განათების სისტემა,

უყურებ ყოველივე ამას და ფიქრობ: მაინც, რა ხელმა ააგო!

ა. გოგელია.

ამოცანა

ჯ. ჩიქოვაბა

(აბაშა)



შამათი ორ სვლაში

# „მოსკოვური ციგურები"



ასე ეწოდება მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებას ფიგურულ ციგურაობაში. ასპარეზობამ კვლავინდებურად მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია. წლევანდელ ტურნირში მასპინძელთა გარდა მონაწილეობენ უნგრეთის, გდრ-ის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იტალიის, კანადის, ფინეთის, საფრანგეთის, გფრ-ისა და იაპონიის სპორტსმენები.

თავდაპირველად გამარჯვებული და პრიზიორები წყვილთა სრიალში გამოვლინდნენ. უნდა ითქვას, რომ ამ სახეობაში საბჭოთა სპორტსმენების უპირატესობა აშკარა იყო და სამივე საპრიზო ადგილი მათ დარჩათ. I ადგილი მოიპოვეს ი. ვორობიოვამ და ა. ვლასოვმა — 223,6 ქულა (ადგილების ჯამი — 6). II ადგილზე გავიდნენ ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი — 220,7 (11), III — მ. ლეონიდოვა და ვ. ბოგოლიუბოვი — 219,1 (16). აღსანიშნავია, რომ სამივე წყვილი ლენინგრადელია.

ქალთა ერთეულებში უძლიერესის წოდება მოიპოვა კანადელმა კ. ლიირვინმა — 260,46 ქულა (ადგილების ჯამი — 7). II ადგილი წილად ხვდა გფრ-ის წარმომადგენელს ი. დე ნოვარს — 252,23 (19), ხოლო III ადგილზე გავიდა საბჭოთა სპორტსმენი ტ. ოლენევა — 249,79 (21).

ყინულზე სპორტულ ცეკვებში ბადალი არ ჰყავდათ მოსკოველებს ლ. პახომოვასა და ა. გორშკოვს. ისინი ახალი ნებისმიერი პროგრამით გამოვიდნენ და მაყურებლების დიდი მოწონებაც დაიმსახურეს.

• • •

სურათზე: ლ. პახომოვა და ა. გორშკოვი.

ს. გურარიის ფოტო („ტრუდი").

ბიბლიოთეკა

# ვუჟრილავთ სპორტულ გაზეთებს

## გვარი გაამართლა!

ამერიკელი ბიზნესმენი ფოქსი, რომელსაც ფიშერმა მატჩის გადაღების ნება არ მისცა, დიდოსტატის ვეტოს არ შეურიგდა. მან მაინც მოახერხა თვალშეუვლები კამერებით მთელი მატჩის გადაღება, პირველიდან ბოლო პარტიამდე.

ამასთან, ფიშერი რომ შეცდომაში შეეყვანა, ფოქსმა მთელ რიგ მანევრებს მიმართა. ჯერ ადგა და ზაგრების ტელესტუდიას სთხოვა მისთვის მიეყიდა ტელეფილმები „ჭადრაკის გოლიათები“ და „საჭადრაკო ქრესტომათია“. ეს ფილმები თვით ფიშერის თანხმობით (და მონაწილეობით!) იყო გადაღებული. პირველ ფილმში ფიშერი და ცნობილი იუგოსლავიელი ჟურნალისტი დ. ბელიცა ერთმანეთს ესაუბრებიან ყველა დროის 10 უდიდესი მოჭადრაკის შესახებ (მათს რიცხვში ფიშერმა სპასკიც დაასახელა). ფიშერი ამ ფილმში სპასკის შესახებ ლაპარაკობს 20 წუთის განმავლობაში. ამასთან, ამერიკელმა მოჭადრაკემ გაარჩია სპასკის ერთ-ერთი პარტიაც.

მეორე ტელეფილმიც ასევე ფრიად საინტერესოა. მასში მონაწილეობენ ფიშერი, სმისლოვი, კერესი, ბრონშტეინი და სხვა მოჭადრაკეები.

ამ ორი ფილმისგან ფოქსმა მონტაჟი გააკეთა და ნახევარსაათიანი საინტერესო ფირი გამოუვიდა, რომელიც დაუყოვნებლივ გაგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ეს კიდევ არაფერი: ფოქსმა ფიშერის საბოლოოდ დასაბნევად მას სასამართლოში უჩივლა, ამსტერდამის ხელშეკრულებას არღვევსო. შემდეგ, როცა მატჩი მთლიანად გადაიღო, მან ამ სარჩელზე ხელი აიღო და დიდოსტატს ბოდიში მოუხადა.

ერთი სიტყვით, ფიშერი მოტყუებული დარჩა. ამასთან დაკავშირებით მან პირქუშად განაცხადა, რომ ფოქსი პირველი შეხვედრისთანავე ეჩვენა „გაქნილ გაიძვერად, რომელიც სავსებით ამართლებს თავის გვარს“ („ფოქსი“ ინგლისურად მელაა).

## კერესის აზრით...

ამას წინათ იუგოსლავიაში მყოფ პ. კერესს ჟურნალისტები ეწვივნენ. სხვათა შორის, სხვებთან ერთად მათ ერთი ასეთი საკითხიც აინტერესებდათ: შეძლებს თუ არა ახალგაზრდა, ნიჭიერი დიდოსტატი ა. კარპოვი უახლოეს ხანებში ფიშერს დაემუქროს?

— ამას დრო გვიჩვენებს. დღეისთვის კარპოვი საკმაოდ მაღლა დგას პროფესორ ელოს მიერ გამოქვეყნებულ „რეიტინგ-ლისტში“, მაგრამ ნაადრევია იმაზე ლაპარაკი, რომ იგი სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის მსოფლიო ჩემპიონს.

## დიალოგი: ტიტო — ბოტვინიკი

სკოპლეს ოლიმპიადის დროს იუგოსლავიის პრეზიდენტმა ტიტომ მოჭადრაკეთა ჯგუფი მიიღო. პრეზიდენტსა და მსოფლიოს ექსჩემპიონ ბოტვინიკს შორის დიალოგი გაიმართა.

ბოტვინიკმა თქვა, რომ მოჭადრაკეებს პატივად მიაჩნიათ ტიტოს მიერ ჭადრაკის ასეთი დაფასება. პრეზიდენტი თვითონ თამაშობს ჭადრაკს — პირველი მსოფლიო ომის დროს ტყვეობაში ისწავლა. ტიტოს მიაჩნია, რომ ჭადრაკი აახლოებს ადამიანებს და ხელს უწყობს მშვიდობის განმტკიცებას.

ტიტო და ბოტვინიკი რუსულად საუბრობდნენ.

— ტიტო მშვენივრად ლაპარაკობს რუსულად, — განაცხადა ბოტვინიკმა. — მარშალს აინტერესებდა სპასკი — ფიშერის მატჩი და მკითხა, როგორ წააგო ეს შეჯიბრება სპასკიმ. მე ვუპასუხე, სპასკი არ იყო სათანადოდ მომზადებული, რომ ფიშერისთვის წინააღმდეგობა გაეწია-მეთქი.

ტიტომ იკითხა, იქნება თუ არა მატჩ-რევანში სპასკისა და ფიშერს შორის.

— ამაზე მხოლოდ პროფესორ ეივეს თუ შეუძლია დანამდვილებით გიპასუხოთ, — უთხრა ბოტვინიკმა.

იქვე მყოფმა ეივემ თქვა, რომ ჭერჭერობით გადაწყვეტილი არაფერია, მაგრამ შეიძლება საქმე რევანშამდე მივიდეს.

## „გლიგორიჩმა დაიპყრო მსოფლიო“

ასე თავისებურად დაასათაურა ბელგრადის გაზეთმა „სპორტმა“ წერილი, რომელიც ეძღვნებოდა დიდოსტატ გლიგორიჩის წიგნს სპასკი — ფიშერის მატჩის შესახებ. საყურადღებოა აღინიშნოს რომ წიგნი გამოვიდა შეჯიბრების დამთავრებიდან... სამი დღის შემდეგ. მას დიდი ღირსებების გამო „საჭადრაკო ბესტსელერი“ დაარქვეს. აღინიშნა, რომ ასეთი ტირაჟით ჭადრაკის ისტორიაში არც ერთი წიგნი არ გაყიდულა. ლონდონიდან, სადაც გლიგორიჩის ნაშრომი ინგლისურად გამოიცა, 50 ათასი წიგნი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგზავნეს. იქ ეს წიგნი რამდენიმე დღეში გაიყიდა. მაშინ ამერიკელ გამომცემელთა გაერთიანებამ შეისყიდა უფლებები გლიგორიჩის ნაშრომზე და კიდევ 125 ათასი ცალი დასტამბა. ამერიკის შეერთებული შტატებისთვის კიდევ გამოვა ახალი ტირაჟი. ინგლისში გაიყიდა 60 ათასი წიგნი, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში იგი მდიდრულად გამოსცეს — 28 ათასი ცალი, 10000-10000 ცალად გამოვიდა საფრანგეთში, იტალიასა და ესპანეთში.

ბელგრადში სერბულ-ხორვატულ ენაზე წიგნი 20 ათას ცალად გამოვიდა და ბერძნულადაც ითარგმნა. ახლა შეიძლება იგი სხვა ენებზეც ითარგმნოს. დაახლოებით ერთი თვის მანძილზე წიგნის საერთო ტირაჟმა 300 ათასს მიაღწია, რაც უმაგალითო შემთხვევაა ჭადრაკის ისტორიაში.

## ჩემპიონი რეიკიავიკიდან გაემგზავრა

ფიშერმა მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა რეიკიავიკიდან ნიუ იორკში გამგზავრება, რაც მერმა ჯონ ლინდსეიმ ხელი აიღო საზეიმო შეხვედრის იდეაზე. „მადლობა ღმერთს! ვერ ვიტან საზეიმო სპექტაკლებს და ტაშის დამკვრელ ხალხს!“

რეიკიავიკში ყოფნის ბოლო დღეებში ფიშერი გააბრაზა ფიდე-ს პრეზიდენტ ეივეს ერთმა ინტერვიუმ, სადაც გამოთქმული იყო აზრი, ამერიკელი დიდოსტატი 9-10 წელზე მეტ ხანს ვერ შეინარჩუნებს მსოფლიო ჩემპიონობასო. „ნუთუ ეივეს ჰგონია, რომ 10 წლის შემდეგ მოვკვდები?“.

რეიკიავიკიდან გაფრენის წინ ფიშერმა უპასუხა ისლანდიელი ჟურნალისტების შეკითხვებზე:

— მართალია, რომ ჰიპნოზს უკეთებთ მეტოქეებს?

— სისულელეა. უბრალოდ, მივდივარ, დაფასთან ვჯდები და ვიგებ.

— როდესაც ბოლო პარტიის დასამთავრებლად მიდიოდით, თქვენსკენ გამოიქცა ერთი მაყურებელი, რათა გამარჯვება მოელოცა. რა უთხარით მას?

— ვუთხარი თვალებში ნუ მებლანდები და სხვის საქმეში ნუ ეჩხირები-მეთქი.

— რატომ არ გაემგზავრეთ სკოპლეში?

— მე მხოლოდ ისეთ გუნდს ვუხელმძღვანელებ, რომელსაც პირველი ადგილისთვის ბრძოლის რეალური შანსი აქვს. ამასთან, არ მინდა ცხრა მთას იქით წავიდე ტაილანდელ მისტერ იქსთან და სინგაპურელ მისტერ იგრეკთან სათამაშოდ.

— აპირებთ თუ არა ცოლის შერთვას?

— ქორწინება მეტად სარისკო საქმეა. ეს დაახლოებით იგივეა, რაც h2 პაიკის აყვანა სიცილიურ დაცვაში.

ფიშერის გამცილებელთა შორის იყო მისი ისლანდიელი მეგობარი ქალიშვილი, რომელმაც მელანქოლიურად შენიშნა:

— ბობის სულაც არ აინტერესებს ქალები. იგი ნამდვილი მონოგამია, რომლის ცოლიც მუდამ იქნება... ჭადრაკი!

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 224, 226, 229, 231, 233, 235, 239, 242.

პროფესიული კალათბურთის ვარსკვლავი ბილ რასელი:

# „საბჭოთა კავშირმა დამსახურებულად გაიმარჯვა“



მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშების დღეებში საკალათბურთო ფორუმის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ფიგურა გახლდათ შავკანიანი ამერიკელი ბილ რასელი. 214 სმ სიმაღლის გიგანტი ნაცრისფერ პიჯაკში, შავ შარვალსა და თეთრ პერანგში გამოწყობილი, შავი ჰალსტუხით მაყურებლების, ჟურნალისტების, სპორტსმენთა საყოველთაო ყურადღებასა და ინტერესს იპყრობდა.

ბილ რასელი — 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული ამერიკის შეერთებული შტატების გუნდის წევრი, უკანასკნელი ათწლეულის ერთ-ერთი ყველაზე განთქმული პროფესიული კალათბურთელი — ამჟამად მიუნხენში თავისი ქვეყნიდან ტელეკომენტატორად იყო ჩამოსული.

თავისი დრამატიზმისა და მნიშვნელობის წყალობით კალათბურთის ისტორიაში შესული მიუნხენის ტურნირის გადამწყვეტი, ფინალური მატჩის დროს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების გუნდებს შორის დიდ ბილის, როგორც მას ამერიკაში უწოდებენ, შეხვედრის კომენტირება არ დაუმთავრებია და ფინალურ სასტვენამდე 5 წუთით ადრე ეთერში გადასცა შემდეგი: „მატჩის კომენტირების აღარც ძალა შემწევს და აღარც სურვილი მაქვს. ჩვენი გუნდი საშინლად თამაშობს. ყველას, ვისაც გვიყვარს ჩვენი კალათბურთი, ვინც მთელი ახალგაზრდული ენერგია და მისწრაფებანი მის დიდებას შევწირეთ, უნდა გვრცხვენოდეს, რომ მიუნხენში ასეთი სუსტი გუნდი გამოვიყვანეთ. წლევანდელმა ოლიმპიელებმა თავიანთი თამაშით ამერიკულ კალათბურთს დააკარგვინეს პრესტიჟი, რომელიც აქამდე ჰქონდა მთელს მსოფლიოში“...

მატჩის კომენტირება გააგრძელა და მოკლედ დაამთავრა ამერიკის სატელევიზიო საზოგადოების ერთ-ერთმა რედაქტორმა.

შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტთა, არბიტრთა და სპორტსმენთა ჯგუფები დიდხანს იდგნენ დარბაზში და ცხარედ კამათობდნენ მატჩის შესახებ. კულუარებში მიმდინარე სჯა-ბაასის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ბილ რასელის გარშემო თავშეყრილმა ჯგუფმა. ბილ რასელი ყოველ შეკითხვაზე ლაკონიურ, ამომწურავ პასუხს იძლეოდა.

● რა აზრისა ხართ მთელი ტურნირის დონის შესახებ ფინალური მატჩის ჩათვლით?

— საერთოდ ტურნირისგან, რა თქმა უნდა, მეტს მოველოდი. თუმცა ეს სრულიადაც არ მიმლის ხელს, რათა საუკეთესო გუნდად ვაღიარო საბჭოთა სპორტსმენთა მეგობრული კოლექტივი. მხოლოდ ერთი რამ გულახდილად უნდა გავუმჟღავნო საბჭოთა კალათბურთელებს: მათ თამამად შეეძლოთ ამჟამად გამართული მრავალრიცხოვანი დებატებისთვის საფუძველი არავისთვის მიეცათ. ფინალური მატჩი იყო მძიმე და მოულოდნელი დარტყმა, რომელმაც შეარყია ამერიკული კალათბურთი. საბჭოთა კავშირმა დამსახურებულად გაიმარჯვა. ორივე ბელოვს სიხარულით აიყვანდნენ ყველა ჩვენი პროფესიული გუნდის მენაჯერები. საბჭოთა გუნდში კიდევ ბევრი შესანიშნავი კალათბურთელია.

● როგორ ფიქრობთ, შეუძლიათ თუ არა ამერიკის სამოყვარულო კალათბურთის მესვეურებს შეადგინონ იმ გუნდზე უკეთესი კოლექტივი, რომელიც მიუნხენში ვიხილეთ?

— ამერიკის სამოყვარულო კალათბურთის კავშირის ხელმძღვანელებისა არა მჯერა. ისინი რატომღაც არ ენდობიან უნივერსიტეტების მწვრთნელებს, ხშირად არც კალათბურთთან დაახლოებული საზოგადოებრიობის აზრს უწევენ ანგარიშს. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა უკეთესი გუნდის გამოყვანა, მაგრამ ისეთი კოლექტივისა, რომელიც მიუნხენის ფინალურ მატჩს მოიგებდა, არა. ასეთ შემთხვევაში მოყვარულები პროფესიონალებმა უნდა შეცვალონ.

● ვის შეიყვანდით ოლიმპიური ტურნირის საუკეთესო მოთამაშეთა ხუთეულში?

— უპირველეს ყოვლისა სერგეი და ალექსანდრე ბელოვებს, შემდეგ ამერიკელ დ. ჯონსს, ბრაზილიელ უბირატანს და პუერტორიკოელ ბლონდეტს.

● შესდგება თუ არა მომავალში ამერიკის საუკეთესო პროფესიული კალათბურთელების შეხვედრა საბჭოთა კავშირის გუნდთან, ისე როგორც, მაგალითად, ჰოკეიში მოხდა?

— დიახ, დარწმუნებული ვარ. თუმცა ეს მომავლის საქმეა. მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია დავიბრუნოთ შელახული ავტორიტეტი.

* * *

როგორც ჩანს, ბილ რასელი ამ შემთხვევაში დიდი ოპტიმისტია. საამისოდ მას ალბათ საფუძველიც აქვს და დაეჯერება კიდეც, მაგრამ კანადის ჰოკეი ამერიკის კალათბურთისთვის ერთგვარი გაფრთხილება უნდა იყოს.

მიუნხენში საბჭოთა კავშირმა პირველად მოიპოვა ოქროს ჯილდოები ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის 20 წლის მანძილზე. მომავალში, ალბათ იგი შეძლებს პოზიციის განმტკიცებას და პროფესიული კალათბურთის მწვერვალებზე იერიშის მიტანას.

ჟურნალი „სტადიონი“ (ჩეხოსლოვაკია).

მიუნხენი.

STADION

## კალათბურთი

# თავდაპირველად ორ ქალაქში

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ სტარტი მიეცემა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატს. პირველი ტურის მატჩები ჩატარდება ორ ქალაქში — ელექტროსტალსა (მოსკოვის ოლქი) და ტაგანროგში.

ელექტროსტალში იასპარეზებენ სსრ კავშირის ჩემპიონი — რიგის ტტტ, ალმა-ათის „უნივერსიტეტი“, მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“, კიევის „დინამო“, ტარტუს „უნივერსიტეტი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. ტაგანროგში ძალებს ცდიან ლენინგრადის „სპარტაკი“, კაუნასის „პოლიტექნიკა“, სვერდლოვსკის „ურალმაში“, მოსკოვის „სერპ ი მოლოტი“, ვილნიუსის „კიბირკშტისი“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკი“.

ჩემპიონატი მაისის შუა რიცხვებში დამთავრდება.

# ჩემპიონატი და ტურნირები

მომავალი წლის საერთაშორისო სეზონს საბჭოთა კალათბურთელები ინტენსიურად გამოეხმაურებიან. მართალია, ვაჟთა ნაკრები მხოლოდ ერთ ოფიციალურ ჩემპიონატში გამოვა (ევროპის პირველობაში, რომელსაც სექტემბერში ესპანეთი უმასპინძლებს), მაგრამ მას მოელის ბევრი საერთაშორისო შეხვედრა, რომელთა შორის უმთავრესია ტრადიციული ტურნე ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში და პერუს საკალათბურთო ფესტივალი.

სხვათა შორის, ამ უკანასკნელ ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს სსრ კავშირის ქალთა ნაკრებიც. რაც შეეხება საკლუბო ტურნირებს, რიგის ტტტ და ლენინგრადის „სპარტაკი“ შესაბამისად იასპარეზებენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში. ორივე ეს შეჯიბრება გაზაფხულზე დამთავრდება. ალბათ გახსოვთ, რომ როგორც ჩემპიონთა, ისე თასების მფლობელთა თასს, რიგისა და ლენინგრადის კოლექტივები ფლობენ.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა 15 დეკემბერს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## 14-16 დეკემბერს

თბილისის უნივერსიტეტის საქტო დარბაზში (ჭავჭავაძის პრ. № 1) ჩატარდება საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია სტუდენტთა ფიზიკური აღზრდის საკითხებზე.

კონფერენცია გაიხსნება 16 საათზე.

რეგისტრაცია იწარმოებს იქვე 12 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო.

## 16 დეკემბერს

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ კლუბში (პლეხანოვის პრ. № 164) შედგება თბილისის ფეხბურთის სეზონის დახურვისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება, სადაც მოხდება საუკეთესო გუნდების დაჯილდოება.

დასაწყისი 15 ს.

თბილისის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმი.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: ინდექსი 380008. თბილისი 8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, ჭადრაკის განყოფილება — 93-97-57, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14.

უე 04743